,,უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ (უსმა/USMA)“ ღონისძიება"

,,უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ (უსმა/USMA)“ ინიციატივითა და უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ლაბორატორიის თანამონაწილეობით, 2021 წლის 23 მარტს გაიმართა პროექტის „მეცნიერება მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო სტატიების კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება.

სხდომა გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის თავმჯდომარემ პროფესორმა ბესიკ ობოლაძემ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ასოციაციის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა შოთა დოღონაძემ ასოციაციის ყოველწლიური სპეციალური პრიზი „ სამეცნიერო საქმიანობაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის“ გადასცა პროფესორ თამაზ მარსაგიშვილს.

გამოცხადდა 2020 წლის კონკურსის შედეგები, 2015-2020 წლებში უსაფრთხოების თემატიკაზე შექმნილი ნაშრომებისთვის 10 მეცნიერი დაჯილდოვდა სპეციალური პრიზითა და სიგელებით. (ჯილდოების გადაცემა გაიმართება მოგვიანებით სპეციალურ ღონისძიებაზე, სადაც გამარჯვებულებს შესაძლებლობა ექნებათ წარმადგინონ თავიანთი ნაშრომები ფართო აუდიტორიის წინაშე).

დამსწრე საზოგადოებას მიმართეს საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გენადი იაშვილი; ასოციაციის საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე, მეცნიერებათა დოქტორი გოჩა ცოფურიშვილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის თავმჯდომარე პროფესორი ჯემალ გახოკიძე, საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ ცაცანაშვილი, რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი გრიგორ ტატიშვილი, და ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, სწავლული მდივანი ქალბატონი ნათელა ანანიაშვილი, სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ კირცხალია, „უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის“ (უსმა/USMA) პრეზიდიუმის წევრები, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნუნუ ოვსიანიკოვა და პროფესორი დავით სიხარულიძე. ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი სოფო მიგელაშვილი;

ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ
ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ
ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ
ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

განათლებული საზოგადოება
ძლიერი ეკონომიკა

განათლებული ახალგაზრდობა – განვითარებული სახელმწიფო
განათლებული საზოგადოება
ძლიერი ეკონომიკა
საქართველოს ინოვაციები
ახალგაზრდობა მაქსიმალურად

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ - ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬ
ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ
ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲔᲙᲝ
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘ
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔ